

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი;
2. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86¹ მუხლი;
3. მერის ბრძანება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ;
4. მერის ბრძანება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
5. მერის ბრძანება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ;
6. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ოქმები

შესავალი

2015 წლის 22 ივლისს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შეტანილი ცვლილებებით შემოღებულ იქნა ახალი რეგულაციები ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიმართულებით. მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვან სიახლეს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო წარმოადგენს.

რა არის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, როგორია საბჭოს შექმნის წესი, როგორ ხდება საბჭოს სხდომების მოწვევა, ვინ წარმართავს საბჭოს სხდომებს, როგორი წესით ტარდება საბჭოს სხდომა, ვინ ნიშნავს საბჭოს თავმჯდომარეს, რა საკითხების განხილვა შედის საბჭოს, როგორი წესით იღებს საბჭო გადაწყვეტილებებს და რა ფორმით უნდა გამოქვეყნდეს საბჭოს გადაწყვეტილებები არეგულირებს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86¹ მუხლი და ამ საფუძვლით შექმნილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება, რომელსაც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 86¹. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის მუნიციპალიტეტის მერის/რაიონის გამგებლის სათათბირო ორგანო. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. ამ კანონის შესაბამისად, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი/რაიონის გამგებელი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით.

2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია ამ პუნქტის მოთხოვნა.

3. მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია მის მიერ დამტკიცებულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები. მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხვა უფლებამოსილებები და მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი.

4. რაიონის გამგებლის მიერ დამტკიცებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს რაიონის გამგებელი.

5. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმით. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო იკრიბება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ.



სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება N 851

ქ. სიღნაღი

20/12/2017

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 86¹-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეიქმნას სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- მარინე მანჯაფარაშვილი - ქ. სიღნაღი;
- ნანა მჭედლიშვილი - სოფელი ანაგა;
- დალი ნანობაშვილი - სოფელი ვაქირი;
- ზურაბ ლეკიაშვილი - ქ. წნორი;
- თემურ შუშტაკაშვილი - სოფელი საქობო;
- მარინე ათანელიშვილი - სოფელი ტიბაანი;
- გიორგი ნაცვლიშვილი - სოფელი ბოდბისხევი;
- ნოდარ ლადაშვილი - სოფელი ჯუგაანი;
- ილია ჭუჭულაშვილი - სოფელი ქვემო მაჩხაანი;
- გურამ ღვედაშვილი - სოფელი ძველი ანაგა;
- თემურ ჯანიაშვილი - სოფელი ბოდბე;
- ზურაბ მათეშვილი - სოფელი ილიაწმინდა;
- ფირუზ უსენაშვილი - სოფელი მალარო,
- ზურაბ ქუფარაშვილი - სოფელი ნუკრიანი

2. დაევალოს მერის ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გადაცემის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.


3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირებისათვის მისი გადაცემიდან (გაცნობიდან) „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ XIII თავით დადგენილი წესით 01 თვის ვადაში სიღნაღის რაიონულ

სასამართლოში სარჩელის წარდგენის მეშვეობით (მის. ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ. #15);

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად;

5. ბრძანება ამოქმედდეს სათანადო წესით გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი გოგილაშვილი



მუნიციპალიტეტის მერი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია



სიდნანის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება N 397

ქ. სიდნალი

16/05/2018

სიდნანის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 დეკემბრის N851 ბრძანებაში „სიდნანის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 86¹-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შევიდეს ცვლილება სიდნანის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 დეკემბრის N851 ბრძანებაში „სიდნანის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“ და ჩამოყალიბდეს შმდეგი რედაქციით:

შეიმნას სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- მარინე მანჯაფარაშვილი - ქ. სიდნალი;
- ნანა მჭედლიშვილი - სოფელი ანაგა;
- დალი ნანობაშვილი - სოფელი ვაქირი;
- ზურაბ ლეკიაშვილი - ქ. წნორი;
- თემურ შუშტაკაშვილი - სოფელი საქობო;
- მარინე ათანელიშვილი - სოფელი ტიბაანი;
- გიორგი ნაცვლიშვილი - სოფელი ბოდბისხევი;
- ნოდარ ლადაშვილი - სოფელი ჯუგაანი;
- ილია ჭუჭულაშვილი - სოფელი ქვემო მაჩხაანი;
- გურამ ღვედაშვილი - სოფელი ძველი ანაგა;
- თემურ ჯანიაშვილი - სოფელი ბოდბე;
- ნონა ქადაგიშვილი - სოფელი ილიაწმინდა;
- ფირუზ უსენაშვილი - სოფელი მალარო,

- ზურაბ ქუფარაშვილი - სოფელი ნუკრიანი“.

2. დაევალოს მერის ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გადაცემის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირებისათვის მისი გადაცემიდან (გაცნობიდან) „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ XIII თავით დადგენილი წესით 01 თვის ვადაში სიღნაღის რაიონულ სასამართლოში სარჩელის წარდგენის მეშვეობით (მის. ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ. #15);
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად;
5. ბრძანება ამოქმედდეს სათანადო წესით გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი გოგილაშვილი



მუნიციპალიტეტის მერი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია



სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება N 84

ქ. სიღნაღი

22/01/2018

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 86¹-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს მრჩეველთა საბჭოს დებულება დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გადაცემის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირებისათვის მისი გადაცემიდან (გაცნობიდან) „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ XIII თავით დადგენილი წესით 01 თვის ვადაში სიღნაღის რაიონულ სასამართლოში სარჩელის წარდგენის მეშვეობით (მის. ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ. #15);
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად;
5. ბრძანება ამოქმედდეს სათანადო წესით გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი გოგილაშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია

დამტკიცებულია

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის

2018 წლის 22 იანვრის N 84 ბრძანებით

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი გოგილაშვილი

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და მისი შექმნის მიზანი

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საქმიანობის გამჭირვალობისა და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა და მისი დამტკიცების წესი

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები.

2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი.

3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით.

4. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არ უნდა იყოს 1/3-ზე ნაკლები.

5. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არ არის უფლებამოსილი, თუ დარღვეულია ამ დებულების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა.

თავი II

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლება – მოსილება და გადაწყვეტილების მიღების წესი

მუხლი 3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლება – მოსილება

1. მერი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარუდგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტებს, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებებს, მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტების პროექტებს, ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებს.

2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია:

ა) წინასწარ განიხილოს საკრებულოზე დასამტკიცებლად წარსადგენი ნორმატიული აქტის პროექტები და გამოთქვას მასზე მოსაზრებები;

ბ) თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიუკუთვნებულ პრობლემატურ საკითხებზე მოაწყოს დისკუსიები და საზოგადოებრივი განხილვები;

გ) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის გამოკითხვების და საზოგადოებრივი განხილვის ჩატარების ორგანიზებაში;

დ) მოამზადოს, განიხილოს და წარუდგინოს გამგებელს წინადადებები თვითმმართველ ერთეულში არსებული პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტილების გზების შესახებ;

ე) შეიმუშაოს რეკომენდაციები პრობლემების მოგვარებაზე და წარუდგინოს გამგებელს პროექტის სახით;

ვ) შეუფერხებლად შეხვდეს თვითმმართველობის ორგანოს თანამდებობის პირებს, გამოითხოვოს და მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია;

ზ) გამგებელს წერილობით წარუდგინოს თავისი შენიშვნები და მოსაზრებები ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის პროექტებზე.

მუხლი 4. კოორდინირება

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შეხვედრის განრიგს წყვეტს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები თავმჯდომარესთან აგზავნიან წინადადებების ჩამონათვალს, რის საფუძველზეც დგება ყოველი მომდევნო შეხვედრის დღის წესრიგი, რომელიც 2 დღით ადრე მაინც ეგზავნებათ საბჭოს წევრებს.

3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრობიდან გასვლა ხდება ნებაყოფლობით ან/და ავტომატურად ზედიზედ 3 დაუსაბუთებლად გაცდენილი შეხვედრის შედეგად.

მუხლი 5. მუშაობის ფორმა

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი არის სამოქალაქო პირი (არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები) , რომელიც საბჭოს შიგნით თავისუფალია პოლიტიკური სიმპათიებისგან და მხოლოდ სამოქალაქო ღირებულებებით ხელმძღვანელობს.

2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ მხარდაჭერილ საკითხებზე იწერება რეკომენდაცია, რომელსაც დაერთვის მომზადებული პროექტი, სადაც მითითებულია პრობლემა, მისი მოგვარების გზა და წარედგინება გამგებელს.

3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმით.

4. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო იკრიბება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი 4

ქ. სიღნაღი

13. 01. 2016 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: დავით ჯანიკაშვილი---სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელი

სხდომას ესწრებოდნენ: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები

1. ზურაბ ლეკიაშვილი----ქ. წნორი
2. მზია ჭაბაშვილი----სოფ. ბოდბისხევი
3. დალი ნანობაშვილი---სოფ. ვაქირი
4. მარიამ ინანაშვილი---ქ. სიღნაღი
5. გურამ ღვედაშვილი---სოფ. ძვ. ანაგა
6. ნოდარ ალადაშვილი---სოფ. ჯუგანნი
7. გია შაიშმელაშვილი---სოფ. ტიბაანი
8. ალექსანდრე პაპუაშვილი---სოფ. ქვ. მაჩხაანი
9. ვანო გოგონაშვილი----სოფ. ნუკრიანი
10. ლამარა კაკაშვილი----სოფ. საქობო
11. ზურაბ მათეშვილი----სოფ. ილია წმინდა
12. იოსებ კოჭლამაზაშვილი---სოფ. ბოდბე

დღის წესრიგი:

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების განხილვა

მომხსენებელი: დავით ჯანიკაშვილი

2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევა.

მომხსენებელი: დავით ჯანიკაშვილი

მოისმინეს:

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების განხილვა.

მომხსენებელი: დავით ჯანიკაშვილი

აზრი გამოთქვას: მზია ჭაბაშვილმა, დალი ნანობაშვილმა, გია შაიშმელაშვილმა, ლამარა კაკაშვილმა, ზურაბ მათეშვილმა და ზურაბ ლეკიაშვილმა.

დაადგინეს: მოწონებული და მიღებული იქნას სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება.

/ დებულება თან ერთვის. /


მოისმინეს:

2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომრის არჩევა.

მომხსენებელი: დავით ჯანიკაშვილი

აზრი გამოთქვეს: მზია ჭაბაშვილმა, ალექსანდრე პაკუაშვილმა, ვანო გოგინაშვილმა, ნოდარ ალადაშვილმა, დალი ნანობაშვილმა და მარიამ ინანაშვილმა.

დაადგინეს: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იქნას ლამარა კაკაშვილი სოფელ საქობოდან.

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე:  / ლ. კაკაშვილი /

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი №2

ქ. სიღნაღი

27.05. 2016 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: ლამარა კაკაშვილი---სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები:

1. დალი ნანობაშვილი---სოფ. ვაქირი
2. მარიამ ინანაშვილი---ქ. სიღნაღი
3. გურამ ღვედაშვილი---სოფ. ძვ. ანაგა
4. ნოდარ ალადაშვილი---სოფ. ჯუგანა
5. ზურაბ მათეშვილი---სოფ. ილია წმინდა
6. ნანა მჭედლიშვილი-----სოფ. ანაგა

მოწვეული პირები:

1. დავით ჯანიკაშვილი---სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელი
2. მალხაზ სიფრაშვილი--სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის

საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ

საკითხთა სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი:

1. 2016 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტის შესახებ

მომხსენებელი: მალხაზ სიფრაშვილი

მოისმინეს:

1. 2016 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტის შესახებ


მომხსენებელი: მალხაზ სიფრაშვილი

განმარტებითი ბარათი

აზრი გამოთქვას: ნანა მჭედლიშვილმა, დალი ნანობაშვილმა, ნოდარ ალადაშვილმა,
გურამ ღვედაშვილმა, მარიამ ინანაშვილმა, დავით ჯანიკაშვილმა.

დაადგინეს: მოწონებული იქნას 2016 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში
შესატანი ცვლილებების პროექტი.

/განმარტებითი ბარათი თან ერთვის ოქმს./

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე:  / ლამარა კაკაშვილი /

განმარტებითი ბარათი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

პროექტის ინიციატორი – მუნიციპალიტეტის გამგეობა

პროექტის ავტორი – საფინანსო, საბიუჯეტო, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ბ) პროექტის მიღების მიზეზები

საქართველოს კონსტიტუციით, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით და საბიუჯეტო კოდექსით დაკისრებული ვალდებულება.

გ) პროექტის მიზანი

2016 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური ნუსხის დამტკიცება.

შესავალი

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2016 წლის ბიუჯეტების პროექტების შედგენა, განხილვა, დამტკიცება და შესრულება ხორციელდება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, საქართველოს კანონების, საქართველოს სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებების შესაბამისად.

წარმოგიდგენთ 2016 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტს

2016 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებში შესატანი ცვლილებების პროექტი

1, 2016 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები შემცირდეს 368,2 ათასი ლარით და განისაზღვროს 8285,0 ათასი ლარით.

ა. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №803 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, შემცირდა 368,2 ათასი ლარით და განისაზღვრა 1889,9 ათასი ლარით. (ჩატარებული ტენდერებიდან დარჩენილი თანხა) (დანართი №1)

2, სულ სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები შემცირდეს 368,2 ათასი ლარით და განისაზღვროს 8430,0 ათასი ლარით.

2016 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში შესატანი ცვლილებების პროექტი

მუნიციპალიტეტის საკრებულო

1, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან 0,2 ათასი ლარი გადანაწილდეს სხვა ხარჯების მუხლში.

მუნიციპალიტეტის გამგეობა

1, გაიზარდოს ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯი, მ.შ. მიმდინარე რემონტის ხარჯი 15,0 ათასი ლარით, ექსკავატორ-მტვირთავის სარემონტო მომსახურება) და განისაზღვროს 138,0 ათასი ლარით.

2. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან 0,5 ათასი ლარი გადანაწილდეს სხვა ხარჯების მუხლში.

2, სულ მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯები გაიზარდოს 15.0 ათასი ლარით და განისაზღვროს 1460,2 ათასი ლარით.

ქვეყნის თვდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

1, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან 1,1 ათასი ლარი გადანაწილდეს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში კომპიუტერის შესაძენად.

გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები

1, შემცირდეს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 311,9 ათასი ლარით (საქ. მთავრობის განკარგულება # 175, 04,02,16წ. -დან),(ტენდერებიდან დარჩენილი თანხა),
ა. რეგიონალური პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საუშაოები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

251,8 ათასი ლარი მოხმარდება სოფელ ნუკრიანში „ქაშუეთის“ ეკლსიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციას,

91,4 ათასი ლარი მოხმარდება სოფელ ბოდბეში „რიყის“ გზის რეაბილიტაციას,

222,5 ათასი ლარი სოფელ ქვემო მაღაროში ადგილობრივი ნუკრიანში გზის რეაბილიტაციას,

189,4 ათასი ლარი სოფელ ბოდბისხევში სკოლის მიმდებარე ს/გზის რეაბილიტაციას,

228,3 ათასი ლარი სოფელ ქვ. მაჩხანის (ფანიანი-ბოხორის) გზის რეაბილიტაციას,

202,8 ათასი ლარი სოფელ ძველი ანაგის ცენტრალური გზის რეაბილიტაციას,

143,2 ათასი ლარი ქ. სიღნაღში თამარ მეფის, ჭილაძის, ფიროსმანის, აბრამიშვილის, ერეკლე მეორის ქუჩების რეაბილიტაციას.

2. გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 10,0 ათასი ლარით, (საკუთარი შემოსავლებიდან დასაფინანსებელი პროექტებისათვის) ქ.სიღნაღში საყრდენი კედლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის.

სულ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი შემცირდეს 301,9 ათასი ლარით და განისაზღვროს 1543,2 ათასი ლარით

სულ, გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები შემცირდეს 301,9 ათასი ლარით და განისაზღვროს 1605,0 ათასი ლარით.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

1. გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 30,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 115,0 ათასი ლარით, სოფელ ანაგაში „ბაიდარაანთ“ უბანში წყლის სისტემაზე კომპის, რეზერვუარის, ტუმბოს და ქსელის მოსაწყობად.

2. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების მუხლი გაიზარდოს 29,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 329,0 ათასი ლარით, წყლის სისტემების მომსახურების ასანაზღაურებლად.

სულ წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯების მუხლი გაიზარდოს 59,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 444,0 ათასი ლარით.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები

1. გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 27,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 101,7 ათასი ლარით,

სულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯების მუხლი გაიზარდოს 27,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 101,7 ათასი ლარით,

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი პროექტები განისაზღვროს შემდეგნაირად:

№№	ტერიტორიული ორგანო	სოფელი	თანხა	პროექტის დასახელება	შენიშვნა
1	ანაგა	ანაგა	10000	სავარგულებთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	გრუნტის გზის ორმოული შევსება და კიუვეტის მოწყობა
2	ანაგა	ანაგა	38255	სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია	
3	ვაქირი	ვაქირი	8000	კულტურის სახლის აღჭურვა	
4	ვაქირი	ვაქირი	18591	წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია	

5	ვაჭირი	ვაჭირი	20000	შინ მოუსვლელთა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალის მოწყობა	
6	საქობო	საქობო	41995	წერეთლის ქუჩის მოასფალტება	
7	საქობო	საქობო	7000	საბავშვო ბაღის შემოღობვა	
8	საქობო	საქობო	11000	ჭაბურღილზე დამატებითი რეზერვუარის მოწყობა	
9	საქობო	მანშნაარი	17040	სასმელი წყლის ქსელის მოწყობა	
10	წნორი	წნორი	5000	საბავშვო ბაღის ღობის აღდგენა	
11	წნორი	წნორი	7000	საზოგადოებრივი ტუალეტის რეაბილიტაცია	
12	წნორი	წნორი	20000	სანიაღვრეების მოწყობა	
13	წნორი	წნორი	11000	ქიზიყის ქუჩის №51 კორპუსის საყრდენების გამაგრება	
14	წნორი	წნორი	46380	სავარგულეზამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია	გრუნტის გზის ორმოული შევსება და კიუვეტის მოწყობა
15	ბოდბისხევი	ბოდბისხევი	2000	საცალფეხო გადასასვლელის მოწყობა	
16	ბოდბისხევი	ბოდბისხევი	20000	სავარგულეზთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია	
17	ბოდბისხევი	ბოდბისხევი	17560	"იროდიონ ევდოშვილის" სახლ მუზეუმის რეაბილიტაცია	
18	ბოდბისხევი	ბოდბისხევი	19085	ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია	

19	ჯუგაანი	ჯუგაანი	38858	არსებული ასფალტბეტონის გზის რეაბილიტაცია	არსებული ასფალტბეტონის გზის ორმოული დამუშავება და კიუვეტის მოწყობა
20	ჯუგაანი	ჯუგაანი	7000	ნაპირსამაგრის რეაბილიტაცია	
21	ჯუგაანი	ერისიმედ ო	7107	საბავშვო ბაღის შემოღობვა	
22	ჯუგაანი	ერისიმედ ო	2500	სასაფლაოს შემოღობვა	
23	ქვემო მაჩხაანი	ქვემო მაჩხაანი	11751	ახალი უბნის გზის რეაბილიტაცია	გზის მოხრეშვა, სანიაღვრე არხები მოწყობილია
24	ქვემო მაჩხაანი	ქვემო მაჩხაანი	7000	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	
25	ქვემო მაჩხაანი	ხირსა	8785	სასმელი წყლის ქსელის მოწყობა	
26	ქვემო მაჩხაანი	ხირსა	3000	გზის რეაბილიტაცია	გზის ორმოული შევსება კიუვეტის მოწყობით
27	ქვემო მაჩხაანი	ხირსა	2000	სპორტული ინვენტარის შეძენა	
28	ქვემო მაჩხაანი	ხორნაბუჯ ო	8133	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	
29	ძვ. ანაგა	ძვ. ანაგა	36588	საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	
30	ტიბაანი	ტიბაანი	35132	სასაფლაოს შემოღობვა	
31	ტიბაანი	ტიბაანი	7000	"გედიქზე" წყლის დამატებითი სათავის მოწყობა	

32	ნუკრიანი	ჭოტორი- ნუკრიანი	35196	საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	
33	ნუკრიანი	ჭოტორი- ნუკრიანი	5000	სავარგულებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია	სამინდვრე გზის ორმოული შევსება კიუვეტის მოწყობით
34	ნუკრიანი	კალოები	18365	სასმელი წყლის ქსელის მოწყობა	
35	ილიაწმინ და	ილიაწმინ და	7000	საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია	
36	ილიაწმინ და	ილიაწმინ და	13000	საქონლის დასაწყურებლების რეაბილიტაცია	
37	ილიაწმინ და	ილიაწმინ და	6884	საბავშვო ბაღის აღჭურვა	
38	მალარო	ქვ. მალარო	18000	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	
39	მალარო	ქვ. მალარო	15165	შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია	საუბნო გზების მოხრეშვა კიუვეტის მოწყობით
40	მალარო	ქვ. მალარო	3000	ბიბლიოთეკის ნაწილობრივი რეაბილიტაცია	
41	მალარო	ზ.მალარო	6170	საქონლის დასაწყურებლების მოწყობა	
42	ბოდბე	ქვ. ბოდბე	20000	გარე განათების მოწყობა	
43	ბოდბე	ქვ. ბოდბე	20392	სავარგულებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია	სავარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა კიუვეტის მოწყობით
44	ბოდბე	ქვ. ბოდბე	20000	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	

45	ბოდბე	ზ.ბოდბე	7500	საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია	
46	ბოდბე	ზ.ბოდბე	7880	სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია	საუბნო გზების მოხრეშვა კიუვეტის მოწყობით
	ჯამი		698312		

სკოლამდელი განათლების დაფინანსება

1. გაიზარდოს სკოლამდელი განათლების სუბსიდია 21,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 972,0 ათასი ლარით. საბავშვო ბაღებისათვის ინვენტარის შესაძენად.

სულ სკოლამდელი განათლების დაფინანსება გაიზარდოს 21,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 972,0 ათასი ლარით.

სკოლამდელი განათლების კაპიტალური ხარჯი

1. შემცირდეს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 56,3 ათასი ლარით და განისაზღვროს 425,0 ათასი ლარით, (საქ. მთავრობის განკარგულება # 175, 04,02,16წ. - დან),(ტენდერებიდან დარჩენილი თანხა)

სულ სკოლამდელი განათლების კაპიტალური ხარჯების მუხლი შემცირდეს 56,3 ათასი ლარით და განისაზღვროს 425,0 ათასი ლარით,

ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა“

1. გაიზარდოს ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა“-ის სუბსიდია 4,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 197,0 ათასი ლარით. ძალისმიერი სამჭიდის სექციის მოსწავლის ჯიმი ნანდოშვილის, სამხრეთ აფრიკაში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ხარჯების დასაფინანსებლად.

სულ ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა“-ის ხარჯების მუხლი გაიზარდოს 4,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 197,0 ათასი ლარით.


ა(ა)იპ “სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრი”

1. გაიზარდოს ა(ა)იპ “სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრი”-ის სუბსიდია 4,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 194,0 ათასი ლარით. 2 ბიბლიოთეკარის და 1 გიდის საშტატო ერთეულის დასამატებლად.

სულ ა(ა)იპ “სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრი”-ის ხარჯების მუხლი გაიზარდოს 4,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 194,0 ათასი ლარით.


სულ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები შემცირდეს 228,2 ათასი ლარით განისაზღვროს 9352,0 ათასი ლარით.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელი



დავით ჯანიკაშვილი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის
საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და
სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი



მალბაზ სიფრაშვილი

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი №3

ქ. სიღნაღი

06.06.2016 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: ლამარა კაკაშვილი---სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები:

1. მარიამ ინანაშვილი-----ქ. სიღნაღი
2. ზურაბ ლეკიაშვილი-----ქ. წნორი
3. ნანა მჭედლიშვილი-----სოფ. ანაგა
4. დალი ნანობაშვილი-----სოფ. ვაქირი
5. მზია ჭაბაშვილი-----სოფ. ბოდბისხევი
6. ნოდარ ალადაშვილი-----სოფ. ჯუგაანი
7. გია შაიშმელაშვილი-----სოფ. ტიბაანი
8. გურამ ღვედაშვილი-----სოფ. ძვ. ანაგა
9. ვანო გოგინაშვილი-----სოფ. ნუკრიანი
10. ზურაბ მათეშვილი-----სოფ. ილია წმინდა

მოწვეული პირები:

1. დავით ჯანიკაშვილი---სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელი
2. მალხაზ სიფრაშვილი--სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის

საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ

საკითხთა სამსახურის უფროსი

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:

1. იოსებ კოჭლამაზაშვილი---სოფ. ბოდბე
2. ალექსანდრე პაპუაშვილი---სოფ. ქვ. მაჩხაანი

დღის წესრიგი:

1. 2016 წლის 2 ივნისის მთავრობის №980 განკარგულების საფუძველზე 2016 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტის შესახებ

მომხსენებელი: მალხაზ სიფრაშვილი

მოისმინეს:


1. 2016 წლის 2 ივნისის მთავრობის №980 განკარგულების საფუძველზე 2016 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტის შესახებ

მომხსენებელი: მალხაზ სიფრაშვილი

აზრი გამოთქვას: ზურაბ ლეკიაშვილმა, ნანა მჭედლიშვილმა, დალი ნანობაშვილმა, ნოდარ ალადაშვილმა, გურამ ღვედაშვილმა, მარიამ ინანაშვილმა, ვანო გოგინაშვილმა, მზია ჭაბაშვილმა და დავით ჯანიკაშვილმა.

დაადგინეს: მოწონებული იქნას 2016 წლის 2 ივნისის მთავრობის №980 განკარგულების საფუძველზე 2016 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი.

/ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 ივნისის № 980 განკარგულება და განმარტებითი ბარათი თან ერთვის ოქმს./

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე:  მ. თამარა კაკაშვილი /



საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 980 2016 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე და „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის

1.18. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 1 811 615 (ერთი მილიონ რვაას თერთმეტი ათას ექვსას თხუთმეტი) ლარი №18 დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.19. თელავის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 741 627 (ორი მილიონ შვიდას ორმოცდაერთი ათას ექვსას ოცდაშვიდი) ლარი №19 დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.20. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 3 041 048 (სამი მილიონ ორმოცდაერთი ათას ორმოცდარვა) ლარი №20 დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.21. საგარეჯოს მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 514 999 (ორი მილიონ ხუთას თოთხმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი №21 დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

~~1.22. სიღნაღის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 123 168 (ორი მილიონ ას ოცდასამი ათას ას სამოცდარვა) ლარი №22 დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.~~

1.23. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 1 637 946 (ერთი მილიონ ექვსას ოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას ორმოცდაექვსი) ლარი №23 დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.24. ყვარლის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 2 257 110 (ორი მილიონ ორას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ას ათი) ლარი №24 დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.25. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 7 956 276 (შვიდი მილიონ ცხრაას ორმოცდათექვსმეტი ათას ორას სამოცდათექვსმეტი) ლარი №25 დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.26. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 1 543 815 (ერთი მილიონ ხუთას ორმოცდასამი ათას რვაას თხუთმეტი) ლარი №26 დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

სიღნაღის მუნიციპალიტეტი

	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	სოფ. ნუკრიანში "ქაშუეთის" ეკლესიასთან მისასვლელი ს/გზის რეაბილიტაცია	264,999.0	251,749.0
2	სოფ. ბოდბეში „რიყის“ ს. გზის რეაბილიტაცია	96,207.0	91,396.0
3	სოფ. ქვ. მადაროში ადგილობრივი ს/გზის რეაბილიტაცია	234,257.0	222,544.0
4	სოფ. ბოდბისხევში სკოლის მიმდებარე ს/ გზის რეაბილიტაცია	199,409.0	189,438.0
5	სოფ.ქვ.მაჩხაანის (ფანიანი-ბოხორის) ს/გზის რეაბილიტაცია	240,351.0	228,333.0
6	სოფ. ბველი ანაგის ცენტრალური ს/გზის რეაბილიტაცია	213,411.0	202,740.0
7	სოფ. ვაქირში „კვირაცხოვლის“ გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა	200,009.0	190,008.0
8	ქ. სიღნაღში სხვადასხვა ქუჩებზე ს. გზების რეაბილიტაცია	150,700.0	143,165.0
9	სოფ. ჯუგაანში საბავშვო ბაღის მშენებლობა	339,999.0	322,999.0
10	სოფელ ანაგაში „ღვინობაანთ“ უბანში ა/ბეტონის საფარისა და სანიაღვრე არხების (კიუვეტების) მოწყობა	295,575.0	280,796.0
	სულ ჯამი	2,234,917.0	2,123,168.0

განმარტებითი ბარათი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

პროექტის ინიციატორი – მუნიციპალიტეტის გამგეობა

პროექტის ავტორი – საფინანსო, საბიუჯეტო, ჯანდაცვის და სოციალურ
საკითხთა სამსახური

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ბ) პროექტის მიღების მიზეზები

საქართველოს კონსტიტუციით, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით და საბიუჯეტო კოდექსით დაკისრებული ვალდებულება.

გ) პროექტის მიზანი

2016 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური ნუსხის
დამტკიცება.

შესავალი

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2016 წლის ბიუჯეტების პროექტების შედგენა, განხილვა, დამტკიცება და შესრულება ხორციელდება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, საქართველოს კანონების, საქართველოს სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებების შესაბამისად.

წარმოგიდგენთ 2016 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანი
ცვლილებების პროექტს

2016 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებში შესატანი
ცვლილებების პროექტი

1, 2016 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდოს 233,3 ათასი ლარით და განისაზღვროს 8518,3 ათასი ლარით.

ა. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 02 ივნისის №980 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა გაიზარდა 233,3 ათასი ლარით და განისაზღვრა 2123,2 ათასი ლარით. (დანართი №1)

2, სულ სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდოს 233,3 ათასი ლარით და განისაზღვროს 8663,3 ათასი ლარით.

2016 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში შესატანი
ცვლილებების პროექტი

გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები

1, გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 280,8 ათასი ლარით და განისაზღვროს 1824,0 ათასი ლარით საქართველოს მთავრობის 2016 წლის 02 ივნისის №980 განკარგულების საფუძველზე.

ა. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საუშაოები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

251,8 ათასი ლარი მოხმარდება სოფელ ნუკრიანში „ქაშუეთის“ ეკლსიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციას,

91,4 ათასი ლარი მოხმარდება სოფელ ბოდბეში „რიყის“ გზის რეაბილიტაციას,

222,5 ათასი ლარი - სოფელ ქვემო მაღაროში ადგილობრივი გზის რეაბილიტაციას,

189,4 ათასი ლარი - სოფელ ბოდბისხევში სკოლის მიმდებარე ს/გზის რეაბილიტაციას,

228,3 ათასი ლარი - სოფელ ქვ. მაჩხაანის (ფანიანი-ბოხორის) გზის რეაბილიტაციას,

202,8 ათასი ლარი - სოფელ ძველი ანაგის ცენტრალური გზის რეაბილიტაციას,

143,2 ათასი ლარი - ქ, სიღნაღში თამარ მეფის, ჭილაძის, ფიროსმანის, აბრამიშვილის, ერეკლე მეორის ქუჩების რეაბილიტაციას,

280,8 ათასი ლარი - ს. ანაგაში „ღვინობაანთ“ უბანში ა/ბეტონის საფარისა და სანიაღვრე არხების (კიუვეტების) მოწყობას.

სულ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი გაიზარდოს 280,8 ათასი ლარით და განისაზღვროს 1824,0 ათასი ლარით.

სულ, გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები შემცირდეს 280,8 ათასი ლარით და განისაზღვროს 1885,8 ათასი ლარით.

საკანალიზაციო და წყალსადინარების სისტემების მოვლა-შენახვის ღონისძიებები

1. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 02 ივნისის №980 განკარგულების საფუძველზე შემცირდეს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი ს. ვაჭირის „კვირაცხოვლის“ გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოებზე ჩატარებული ტენდერიდან დარჩენილი ეკონომიის თანხით 47,5 ათასი ლარით და განისაზღვროს 202,5 ათასი ლარით.

სულ საკანალიზაციო და წყალსადინარების სისტემების მოვლა-შენახვის ღონისძიებების მუხლი შემცირდეს 47,5 ათასი ლარით და განისაზღვროს 238,0 ათასი ლარით.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი პროექტები განისაზღვროს შემდეგნაირად:

№№	ტერიტორიული ორგანო	სოფელი	თანხა	პროექტის დასახელება	შენიშვნა
1	ანაგა	ანაგა	10000	სავარგულებთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	გრუნტის გზის ორმოული შევსება და კიუვეტის მოწყობა
2	ანაგა	ანაგა	38255	სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია	

3	ვაქირი	ვაქირი	8000	კულტურის სახლის აღჭურვა	
4	ვაქირი	ვაქირი	18591	წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია	
5	ვაქირი	ვაქირი	20000	შინ მოუსვლელთა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალის მოწყობა	
6	საქობო	საქობო	48995	წერეთლის ქუჩის მოასფალტება	
7	საქობო	საქობო	11000	ჭაბურღილზე დამატებითი რეზერვუარის მოწყობა	
8	საქობო	მანშნაარი	17040	სასმელი წყლის ქსელის მოწყობა	
9	წნორი	წნორი	5000	საბავშვო ბაღის ღობის აღდგენა	
10	წნორი	წნორი	7000	საზოგადოებრივი ტუალეტის რეაბილიტაცია	
11	წნორი	წნორი	20000	სანიაღვრეების მოწყობა	
12	წნორი	წნორი	11000	ქიზიყის ქუჩის №51 კორპუსის საყრდენების გამაგრება	
13	წნორი	წნორი	46380	სავარგულეზამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია	გრუნტის გზის ორმოული შევსება და კიუვეტის მოწყობა
14	ბოდბისხევი	ბოდბისხევი	2000	საცალფეხო გადასასვლელის მოწყობა	
15	ბოდბისხევი	ბოდბისხევი	20000	სავარგულეზთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია	


16	ბოდბისხევი	ბოდბისხევი	17560	"იროდიონ ევდოშვილის" სახლ მუზეუმის რეაბილიტაცია	
17	ბოდბისხევი	ბოდბისხევი	19085	ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია	
